



სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
ბენეფიციური დირექტორის

ბრძანება № 94

ქ. თბილისი

6 ივლისი 2018წ.

2018 წლის საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების კონფერენციის საგრანტო კონკურსის
შედეგად გამარჯვებული პროექტს დამტკიცების შესახებ

“საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების კონფერენციის საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 9 ივნისის № 57/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის, „2018 წლის საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების კონფერენციის საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ“ სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2018 წლის 22 თებერვლის № 24 ბრძანებით დამტკიცებული საგრანტო კონკურსის პირობების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის № 62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ და „ჟ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის სამსახურებრივი ბარათის (№ 873345, 06.07.2018) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს 2018 წლის საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების კონფერენციის საგრანტო კონკურსის შედეგად გამარჯვებული პროექტები:
 - ა) პროექტის შიფრი: GEC-18-148; პროექტის სათაური: „ენათმეცნიერ-კავკასიოლოგთა V საერთაშორისო სიმპოზიუმი“; წამყვანი ორგანიზაცია: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
 - ბ) პროექტის შიფრი: GEC-18-097; პროექტის სათაური: „სამხრეთ კავკასიური ცარცის წრე - 2“; წამყვანი ორგანიზაცია: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
 - გ) პროექტის შიფრი: GEC-18-538; პროექტის სათაური: „ქართული ღვინო და ვაზი - ტრადიციები და სამეცნიერო გამოწვევები“; წამყვანი ორგანიზაცია: კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი; თანამონაწილე ორგანიზაცია: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

2. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში ფონდი) იურიდიული და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტს გამარჯვებული პროექტის წარმდგენებთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არაუგვიანეს 2018 წლის 23 ივლისისა.
3. დაევალოს ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ამ ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
4. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. № 6).

მანანა მიქაბერიძე

